

სადისერტაციო ნაშრომის დაცვისათვის წარმოსადგენი საბუთები

1. განცხადება საბჭოს თავმჯდომარის სახელზე დისერტაციის განსახილველად მიღების თხოვნის შესახებ; (იხილე ნიმუში); თავმჯდომარის ვიზით.

2. სადოქტორო პროგრამის სწავლების ენაზე შესრულებული დისერტაციის 4 აკინძული ეგზემპლარი და მისი ელექტრონული ვერსია (PDF ფორმატში); სადოქტორო პროგრამის სწავლების ენაზე შესრულებული ავტორეფერატის 30 ეგზემპლარი და მისი ელექტრონული ვერსია (PDF ფორმატში); დისერტაცია და ავტორეფერატი გაფორმებული უნდა იყოს შესაბამისი მოთხოვნების მიხედვით (როგორ უნდა იპოვოთ გაფორმების დანართები: gtu.ge-მეცნიერება,დოქტორანტურის_დეპარტამენტი, დოქტორანტურა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულება, დანართი 2 (დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის გაფორმების ინსტრუქცია) დანართი 3 (დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარსადგენი ავტორეფერატის გაფორმების ინსტრუქცია)

3. ხელმძღვანელის (თანახელმძღვანელების) მიერ დოქტორანტის დახასიათება დოქტორანტურაში სწავლისა და დისერტაციის მომზადების პერიოდში გამოვლენილი საქმიანი თვისებების შესახებ;

4. სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული კვლევის ძირითადი შედეგების ამსახველი და დადგენილი წესის შესაბამისად გამოქვეყნებული ნაშრომები (სულ მცირე სამი სამეცნიერო სტატია). სამეცნიერო კონფერენციების, სემინარების, ფორუმების, კონგრესების, სიმპოზიუმების მასალები (მინიმუმ ერთი მოხსენება). გამო- გონებების, პატენტების დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტები (მათი არსებობის შემთხვევაში) და მათი სია დამოწმებული შესაბამისი აკადემიური დეპარტამენტის ხელმძღვანელის მიერ;

5. მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული დიპლომის ასლი (პირები, რომლებსაც განათლება მიღებული აქვთ უცხოეთში, წარმოადგენენ მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლს, რომელიც გაცემულია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ);

6. ბიოგრაფიული ცნობები (CV).

7. დოქტორანტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების შესრულების შესახებ (სასწავლო ბარათი); კოლოკვიუმების, სემინარების და წინასწარი დაცვის აუდიო/ვიდეო ჩანაწერები, შესაბამისი ოქმების და ყველა კომპონენტის ელექტრონული უწყისების ასლები; აგრეთვე ინფორმაცია დოქტორანტის ფინანსური ვალდებულების შესრულების შესახებ;

8. დისერტაცია და ავტორეფერატი გაფორმებული უნდა იყოს შესაბამისი მოთხოვნების მიხედვით

9. ავტორეფერატში წარმოდგენილი უნდა იყოს დოქტორანტის მიერ გამოქვეყნებული მხოლოდ იმ შრომების, პატენტების ნუსხა, რომელთა შინაარსი შეესაბამება დისერტაციის თემატიკას და შედის სადისერტაციო ნაშრომში.

10. დეპარტამენტის გაფართოებული სხდომის ოქმი(წინასწარი დაცვის ოქმი)

11.დოქტორანტურაში ჩარიცხვის ბრძანება, თემის დამტკიცების ბრძანება; 12.კოლოქვიუმის და სემინარების, წინასწარი დაცვის მიმდინარეობის ჩანაწერები(დისკები)

13. პლაგიატის არ არსებობის დამადასტურებელი ცნობა

14.საბუთების ჩასაღები.

***შენიშვნა: ყველა საბუთი ხელმოწერილი და ბეჭედით დამოწმებული;

საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს

"მშენებლობის "თავჯდომარეს

ბატონ ლევან კლიმიაშვილს

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის,
სამშენებლო ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამა
"მშენებლობის" სწავლების მესამე წლის
დოქტორანტის თამარ კვაჭაძის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ბატონო ლევან !

დავამთავრე სადისერტაციო ნაშრომი თემაზე – „სამშენებლო მექანიკის ზოგიერთი ამოცანის რიცხვითი ამოხსნები სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა მეთოდის გამოყენებით“. ფინანსური დავალიანება არ მაქვს, შესრულებული მაქვს 150 კრედიტი. გთხოვთ დამართოთ ნება ნაშრომის საჯარო დაცვისთვის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

დოქტორანტი თამარ კვაჭაძე

5 მაისი 2020 წელი.